ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2023 წლის 18 დეკემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების, შესაბამისად, შევიდეს ცვლილებები „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილების (matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი 23/03/2022 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.158.016555) დანართ 1-ში.

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში და დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1-ლი იანვრიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები

1. საკრებულოს თავმჯდომარე – 1 (თანამდებობრივი სარგო – 5453 ლარი).

2. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 1 (თანამდებობრივი სარგო – 4123 ლარი).

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 2 (თანამდებობრივი სარგო – 3591 ლარი).

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – 5 (თანამდებობრივი სარგო – 2926 ლარი).

5. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 2 (თანამდებობრივი სარგო – 2660 ლარი).

6. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე – 9 (თანამდებობრივი სარგო – 2128 ლარი).

მუხლი 2. პროფესიული საჯარო მოხელეები

1. საკრებულოს აპარატის უფროსი (პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) –1 (თანამდებობრივი სარგო – 3857 ლარი).

2. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 3059 ლარი);

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) –2 (თანამდებობრივი სარგო – 2261 ლარი);

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2128 ლარი).

3. საორგანიზაციო განყოფილება:

ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 3059 ლარი);

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) –1 (თანამდებობრივი სარგო – 2261 ლარი);

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 3 (თანამდებობრივი სარგო – 2128 ლარი).